1940/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის
დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. სექტემბრის 18 № 23 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

99. პერსონალური პენსიების დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება პერსონალური პენსიების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

99. პერსონალური პენსიების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი მთავრობის კომისიის მიერ წარმოდგენილი დებულება პერსონალური პენსიების შესახებ.

2. გაუქმდეს დებულება პერსონალური პენსიების შესახებ, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 3, მუხ. 47; № 16, მუხ. 229; № 18, მუხ. 262; 1934 წ. № 33, მუხ. 251; 1936 წ. № 6, მუხ. 44; № 16, მუხ. 97).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 6. № 1732.
თბილისი.

საქართველოს სახ. საქ. ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პერსონალური პენსიების შესახებ.

კარი I.

პერსონალური პენსიით უზრუნველსაყოფელი პირნი.

1. პერსონალური პენსია იმ პირთ ენიშნებათ, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის წინაშე რევოლუციურ, სახელმწიფოებრივ, პროფესიულ, საზოგადოებრივ, სამეურნეო, სამეცნიერო, კულტურული მოღვაწეობისა და სსრ კავშირის თავდაცვის დარგში.

2. წესდება პერსონალურ პენსიათა ორი კატეგორია:

ა) პერსონალური პენსიები რესპუბლიკური მნიშვნელობისა;

ბ) პერსონალური პენსიები ადგილობრივი მნიშვნელობისა;

3. რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიის მიღების უფლება აქვთ:

ა) იმ პირთ, რომლებიც დაჯილდოებული არიან სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდებით, საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდებით, სსრ კავშირის ერთი ან რამდენიმე ორდენით;

ბ) იმ პირთ, რომლებსაც შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 25 აპრილის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ საპატიო სახელწოდებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ მინიჭებული აქვთ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის ან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის სახელწოდებანი;

გ) იმ პირთ, რომლებსაც ოქტომბრის რევოლუციამდე აქტიური მონაწილეობა მიუღიათ რევოლუციურ მოძრაობაში, უკეთუ ისინი არ გამოსულან პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ;

დ) განსაკუთრებით გამოჩენილ მუშაკებს სახელმწიფოს თავდაცვის, სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, ტექნიკურ, საგამომგონებლო მოღვაწეობისა და ხელოვნების დარგში, რომლებმაც თავიანთი მუშაობით, ნაწარმოებებით და გამოგონებით განსაკუთრებით ძვირფასი განძი შეიტანეს ტექნიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში და რომლებმაც ხელი შეუწყეს საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიები ინიშნება იმის მიუხედავად, თუ სად მიმდინარეობდა იმ პირის მოღვაწეობა, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის, თუ ეს პირი ამჟამად ცხოვრობს საქართველოს სს რესპუბლიკაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსია შეიძლება დანიშნოს იმ პირთ, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობის თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით (ადგილობრივი კულტურისა და ენის დარგში, ბანდიტიზმსა და კულაკობასთან განსაკუთრებით აქტიურ ბრძოლაში) და ამასთან დაკავშირებით შრომის უნარი დაკარგული აქვთ; სამედიცინო და სავეტერინარო მუშაკებს, რომლებმაც ეპიდემიასთან ბრძოლაში მონაწილეობასთან დაკავშირებით შრომის უნარი დაჰკარგეს და იმ პირთ, რომელთა განსკუთრებული გმირული მოქმედებაც სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში აღნიშნულია მთავრობის მიერ.

5. ამა დებულების მე-3 და მე-4 მუხლებში აღნიშნულ პირთ პერსონალური პენსია ენიშნებათ იმ შემთხვევაში, უკეთუ ცნობილ იქნა მათი შრომის უუნარიანობა (თუ ისინი ეკუთვნიან ინვალიდობის ერთერთ ჯგუფს) ან თუ მათ მიაღწიეს: მამაკაცებმა 55 წლის ასაკს და დედაკაცებმა 50 წლის ასაკს.

6. უკეთუ ის პირი, ვინც იღებდა პერსონალურ პენსიას, ან ვისაც უფლება ჰქონდა მიეღო ეს პენსია (მე-3 და 4 მუხ.), გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ეს გარემოება სათანადოდ დამტკიცებულია, პენსიის მიღების უფლება გადადის ოჯახის არასრულწლოვან ან შრომის უუნარო წევრებზე, რომლებიც სიკვდილის ან უგზო-უკვალოდ დაკარგულად ცნობის დროისათვის მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ:

ა) არასრულწლოვანი (18 წლამდე) შვილები, ძმები, დები და იგივე პირები, ასაკის მიუხედავად, თუ მათ შრომის უნარი დაჰკარგეს 18 წლამდე;

ბ) მშობლები და მეუღლე, რომლებიც ცნობილი არიან შრომის უუნაროდ ან რომლებსაც შეუსრულდათ: მამაკაცებს 60 წელი და დედაკაცებს 55 წელი;

გ) შრომისუნარიანი მშობლები ან მეუღლენი, რომლებიც უვლიან გარდაცვლილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის შვილებს, ძმებსა და დებს, რომელთაც 8 წელი არ შესრულებიათ და გარდაცვლილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თანახმად ამა მუხლის „ბ" პუნქტისა შრომისუუნაროდ ითვლებიან ის პირნი, რომლებიც საექიმო შრომითი ექსპერტიზის მიერ მიკუთვნებული არიან ინვალიდობის ერთერთ ჯგუფისადმი.

7. პერსონალური პენსია შვილებს ძმებს, და დებს (მუხ. 6 პ. „ა") ეძლევათ 18 წლამდე, ხოლო მათ შორის სასწავლებლებში მოსწავლეთ უკეთუ, ისინი სტიპენდიას არ ღებულობენ—საშუალო ან უმაღლეს სასწავლებლებში კურსის დამთავრებამდე, მაგრამ არა უხანგრძლივეს 25 წლის ასაკის მიღწევისა. ხოლო იმ პირთ ვინც ცნობილია შრომისუნარ მოკლებულად, უკეთუ ეს შრომისუუნარობა მყარი ხასიათისაა, პენსია ეძლევათ სიკვდილამდე.

საჭირო შემთხვევაში იმ ორგანოებს, რომლებიც პერსონალურ პენსიებს ნიშნავენ, შეუძლიათ პენსია დაუნიშნონ გარდაცვლილ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ პენსიონერის შვილებს, ძმებსა და დებს, რომლებიც ინვალიდებად გახდნენ იმის შემდეგ, რაც მათ 18 წელი ან 25 წელი შეუსრულდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი II.

პერსონალური პენსიის დანიშვნის წესი.

8. რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიებს ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომისია შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე—საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე და კომისიის წევრები: საქართველოს სსრ ფინსახკომის, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის, შინსახკომისა და საქართველოს პროფკავშირთა ერთ ერთი ცენტრალური კომიტეტის ან ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი.

ამ კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

9. კომისიის დადგენილებებს პერსონალური პენსიის დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭო.

10. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალურ პენსიებს ნიშნავენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ადგილობრივი ორგანოების წარდგენით.

11. კომისიაში შემოსული შუამდგომლობანი განხილულ უნდა იქნას მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

12. პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს, რა დროიდან და რა რაოდენობით არის პენსია დანიშნული, ხოლო როცა პენსია ენიშნება გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პერსონალური პენსიონერის ოჯახს, აღნიშნული უნდა იყოს პენსიის რა ნაწილი ეძლევა ოჯახის თვითეულ წევრს, უკეთუ ოჯახის წევრები ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

13. პენსიის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პენსიის დამნიშვნელი ორგანო სათანადო პირთ აძლევს საპენსიო წიგნაკს, რომელიც ერთად ერთი დამამოწმებელი დოკუმენტია იმისა, რომ პენსიონერს აქვს უფლება ისარგებლოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათებით. რაც გათვალისწინებულია ამ დებულებაში.

14. პერსონალური პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ მე-8 და მე-10 მუხლებში აღნიშნულ ორგანოების დადგენილებით:

ა) როცა კანონიერ ძალაშია შესული სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გათვალისწინებულია პერსონალური პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევა;

ბ) სხვა შემთხვევებში, როდესაც პერსონალური პენსიის მიღებისათვის საფუძველი აღარ არსებობს.

15. შეჩერებულ უნდა იქნას პენსიის მიცემა იმ პირებისათვის, ... პასუხისგებაშია მიცემული სისხლის სამართლის წესით ისეთი დანაშაულის გამო, რომლისათვისაც სასამართლოს შეუძლია დაადგინოს პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევა.

ხოლო ამ პირთა გამართლების, მათ წინააღმდეგ აღძრული საქმის მოსპობის ან ისეთ განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, რომლითაც არ არის გათვალისწინებული პენსიის მიღების უფლების ჩამორთმევა, პენსია მიეცემათ მათ საერთო წესისამებრ.

16. საჩივარი პენსიის ჩამორთმევის გამო და განცხადება პენსიის გადიდების თაობაზე შეიტანება იმავე წესით, როგორც შუამდგომლობა პენსიის დანიშვნის შესახებ.

კარი III.

პენსიების ნორმები.

17. პერსონალური პენსიის რაოდენობა თვითეულ ცალკე შემთხვევაში განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა თვისების და ხასიათისაა იმ პირის განსაკუთრებული დამსახურება რომელსაც პენსია ენიშნება, რამდენად დაკარგული აქვს შრომის უნარი, რა ასაკისაა, რამდენი პირი იმყოფება მის რჩენაზე და აგრეთვე რა ჩვეულებრივი შემოსავალი აქვს მას.

18. რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 მანეთს თვეში, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიის რაოდენობა—300 მანეთს თვეში.

19. უკეთუ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიის თანხა და პერსონალური პენსიონერის სისტემატური საშოვარი ან შრომითი შემოსავალი აღემატება 1500 მანეთს თვეში, შესაბამისად მცირდება პენსიის რაოდენობა. საშოვარის დაკარგვის ან შემცირების შემთხვევაში პენსია ავტომატურად ან აღდგენილი უნდა იქნას მთლიანად ან შესაბამისად გადიდებული ისე, რომ საშოვარის და პენსიის საერთო თანხა არ აღემატებოდეს ამ მუხლით დადგენილ მაქსიმუმს.

პენსიის მიცემის შეჩერება პერსონალურ პენსიონერს არ უკარგავს ამ დებულებით მინიჭებულ ყველა დანარჩენ უფლებასა და უპირატესობებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პერსონალური პენსიები იმ პირთ, რომლებმაც მიაღწიეს: მამაკაცებმა 55 წლის ასაკს და დედაკაცებმა 50 წლის ასაკს, მთლიანად ეძლევათ მათ, დამოუკიდებლად მათი საშოვრის და შემოსავლის ოდენობისა.

20. ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიის ოდენობა შრომითი საშოვართან ერთად არ უნდა აღემატებოდეს 750 მანეთს თვეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. გარდაცვლილ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა იმ ოჯახებს, რომელთაც ამა დებულების მე-6 და 7 მუხ. თანახმად აქვთ საფუძველი პერსონალური პენსიის მისაღებად, პერსონალური პენსიის რაოდენობა განესაზღვრებათ თვითეულ ცალკე შემთხვევაში უზრუნველსაყოფ პირთა რიცხვისა და ოჯახის ჩვეულებრივი ბიუჯეტის მიხედვით ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების ან უგზო უკვლოდ დაკარგვის დროისათვის, ამასთანავე როგორც საერთო წესი პერსონალური პენსია ოჯახის ყველა უზრუნველსაყოფ წევრთათვის ერთობლივად არ უნდა აღემატებოდეს მე-18 მუხ. აღნიშნულ რაოდენობას.

22. იმ პირთ, რომლებიც რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიას იღებენ, ყოველწლიურად ეძლევათ ერთდროული დახმარება პენსიის თვიური განაკვეთის ოდენობით.

გარდა ამისა, განსაკუთრებულ საჭიროების დროს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კომისიის დადგენილებით, პერსონალურ პენსიონერს შეიძლება მიეცეს ერთდროული დახმარება კომისიის მიერ განსაზღვრული ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს მე-18 მუხლში აღნიშნული ოდენობისა.

კარი IV.

პერსონალური პენსიის გაცემის წესი.

23. პერსონალური პენსია გაიცემა ყოველთვიურად პენსიონერის მიერ დასახელებული სახელმწიფო შრომითი საშემნახველო სალაროს მეშვეობით იმ თვის 25 რიცხვიდან დაწყებული, რომლისათვისაც პენსიის გაცემა ხდება.

24. წარსული დროის პენსია, რომელსაც პერსონალური პენსიონერი თავის დროზე არ მოიკითხავს, გაიცემა მხოლოდ იმ თანხის რაოდენობით, რაც მას წარსულ 12 თვისათვის ერგება—დაწყებული იმ დღიდან, როდესაც მან მიმართა პენსიის მისაღებად.

საშემნახველო სალაროს ბრალით მიუღებელი წარსული დროის პენსია გაიცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

25. პერსონალური პენსიონერი ვალდებულია აცნობოს პენსიის დამნიშვნელ ორგანოს თავისი დამატებითი სისტემატური საშოვარის ან შრომითი შემოსავლის ოდენობა, გარდა მე-19 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული შემთხვევებისა.

ამ მუხლის განზრახ დარღვევისათვის პერსონალური პენსიონერი პასუხისგებაში მიიცემა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხ. მიხედვით.

ასეთ შემთხვევებში ზედმეტად გაცემული თანხა დაკავებულ უნდ იქნას ხვედრი პენსიიდან სასამართლოს განაჩენით ან თვითონ პენსიონერის მიერ კომისიაში ამის შესახებ შეტანილი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი V.

პერსონალურ პენსიონერების შეღავათები და უპირატესობანი.

26. იმ პირთ, რომელთაც დანიშნული აქვთ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია, ენიჭებათ შემდეგი შეღავათები:

ა) პერსონალურ პენსიონერთა ბინის ქირა გამოიანგარიშება მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით მიღებული პენსიისა და სისტემატური საშოვარის (თუ ასეთი აქვს) 50%-ის ანგარიშით; პერსონალური პენსიონერის შემთხვევითი საშოვარი მხედველობაში არ მიიღება;

ბ) ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ქირას, რა სივრცისაც უნდა იყოს იგი, პერსონალური პენსიონერები იხდიან ერთმაგი რაოდენობით ამა მუხლის „ა" პუნქტში დაწესებული მონაკლებით.

27. სასყიდელს კომუნალური მომსახურეობისათვის (ქალაქის წყალსადენიდან თავიანთი სამეურნეო საჭიროებისათვის წყლით სარგებლობა, განათებისა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ელექტრო-ენერგიით სარგებლობა, კანალიზაციით, ქალაქის სამრეცხაოებით, საზოგადოებრივი აბანოებით და სხვა მომსახურეობით სარგებლობა, აგრეთვე საქალაქო ტრამვაითა და ავტობუსებით მიმოსვლა) პერსონალური პენსიონერები იხდიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ დადგენილი შეღავათიანი ტარიფების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ პერსონალური პენსიონერები სრულიად გაანთავისუფლონ ყველა ან ზოგიერთი სახის კომუნალური მომსახურეობის სასყიდლისაგან.

28. პენსიონერის საშოვარის ან სხვა შემოსავლის (გარდა პენსიისა) გადასახადებით დაბეგვრისას, პერსონალური პენსიის თანხა დასაბეგრ შემოსავალში არ შედის.

29. არ იბეგრება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ დაწესებული გადასახადებით:

ა) შენობები რომლებიც ეკუთვნით პერსონალურ პენსიონერებს, უკეთუ ეს შენობები დაკავებულია უშუალოთ მათსა და მათი ოჯახის წევრების მიერ და არ ქირავდება ექსპლოატაციის მიზნით;

ბ) სატრანსპორტო საშუალებანი (ცხენი, ველოსიპედი და სხვ.), რომლებიც ეკუთვნიან პერსონალურ პენსიონერებს, თუ ეს საშუალებები გამოიყენება მარტოოდენ აღნიშნული პირების და მათი ოჯახის წევრების პირადი საჭიროებისათვის;

გ) შინაური პირუტყვი, რომელიც ეკუთვნის პერსონალურ პენსიონერებს და რომელიც გამოიყენება მათი და მათი ოჯახის პირადი საჭიროებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. პერსონალურ პენსიონერებს აქვთ ყველა სახელმწიფო მუზეუმში, გამოფენებზე და სხვა ამგვარ სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებებში უფასოდ შესვლის უფლება.

31. პერსონალურ პენსიონერებს უფლება აქვთ რიგსგარეშე იქნან მიღებული სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში (ინვალიდთა სახლი და სხვ.) და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში (ქრონიკების და ტრავმატიკების სახლები, სპეციალური დაწესებულებანი ნერვიულ და სულით ავადმყოფთათვის და სხვ.).

32. ყველა შეღავათი, რომელიც ამ დებულებით მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ პერსონალურ პენსიონერებს, ვრცელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებზე, რომლებიც პერსონალურ პენსიას იღებენ სსრ კავშირის მთავრობის და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებით.

33. იმ პირებზე, რომელთაც დანიშნული აქვთ ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსია, ვრცელდება ამა დებულების 26—31 მუხლებით რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერებისათვის დაწესებული შეღავათები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

604/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

საჯარო ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28
Полиграфкомбинат „Комунисти" имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28

უე (УЭ) 7103 შეკ. (Заказ) № 1339 ტირაჟი (Тираж) 2000

собр. пост. распр. правит. Груз. ССР